Generated by Foxit PDF Creator © Foxit Software
http://www.foxitsoftware.com For evaluation only.

ნავთობროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულება №1

ქ. თბილისი 24 თებერვალი, 2012 წელი

1. ერთის მხრივ, სსიპ "სოფ.მარტყოფის #1 საჯარო სკოლა" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან ჩინაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის თამარ კიკვაძის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი – ,,დიზელ ენერჯი".

3. ხელშეკრულების ღირებულება – ,,დიზელ ენერჯი" 6200 (ექვსი ათას ორასი) ლარი.

4. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: საწვავის მოთხოვნის (აღნიშნული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ მიღების) დღისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის (1 ლიტრის) ფასს გამოკლებული დისქაუნთი შემდეგი ოდენობით - 4 (ოთხი) თეთრი.

5.1 შემსყიდველის მიერ საწვავის სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა საკითხის სამართლებრივი დარეგულირება (თუ წინამდებარე გამარტივებული ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული განსხვავებული დარეგულირება) განხორციელდება ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების" შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ ის გაცნობილია და ეთანხმება ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების" უკლებლივ ყველა პირობას.

5.2 საწვავის მიწოდება მოხდება სატალონო სისტემით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის შეკვეთების შესაბამისად (თითოეულ ეტაპზე დასაშვებია არა უმეტეს 3 თვის მოხმარების საწვავის გატანა).

5.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ყოველ ეტაპზე წინასწარ გადაუხადოს მიმწოდებელს საწვავის ღირებულება, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ინვოისის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა საწვავის შეძენის ნაწილში განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სხვა უფლება-მოვალეობების ნაწილში - მათ სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

შემსყიდველის ხელმოწერა _____ მიმწოდებლის ხელმოწერა _____